უკრაინის ჩერკასის ოლქში გრაფ მიხეილ ვორონცოვის მიერ აშენებული ტაძარი მიიტაცეს

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 19.1.2025. 2025 წლის 16 ნოემბერს, სოფელ მოშნიში (ჩერკასის ოლქი, უკრაინა), მოხდა ფერსცვალების ტაძრის ძალადობრივი მიტაცება, რომელიც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივ რელიგიურ თემს ეკუთვნოდა. ღია წყაროების ცნობით, ტაძრის მიტაცება განახორციელეს „მეუ“-ს მომხრეებმა რეიდერთა ჯგუფის მხარდაჭერით, თვითმხილველების თქმით, თავდამსხმელები ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზით იყვნენ შეიარაღებულნი, პოლიცია კი გულგრილად იდგა და კონფლიქტში არ ერეოდა.

როგორც **ინტერნეტ-რესურსი «Расколам.net»** ტელეგრამ-არხ **«Дозор»**-ზე , დაყრდნობით იუწყება, თავდამსხმელები ორგანიზებულად მოქმედებდნენ; ბევრ მათგანს სახე ნიღბითა და ბალაკლავით ჰქონდა დაფარული, ტაძარში შესასვლელები ჩახეგეს და კარიბჭეზე ჯაჭვი ჩამოკიდეს, რათა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეებმა შესვლა ვერ შეძლონ.

წყარო ასევე მიუთითებს, რომ მიტაცებას შესაძლოა თემის უკანონო ხელახალი რეგისტრაცია უძღოდა წინ. ამტკიცებენ, რომ სქიზმატმა აქტივისტებმა მედიასთან საუბარში აღიარეს, რომ ტაძრის მრევლი და სოფლის მცხოვრებლები არ უჭერდნენ მხარს სხვა იურისდიქციაში გადასვლას. აღნიშნულია, რომ მიტაცების განსახორციელებლად ხალხი ჩერკასიდან ჩამოიყვანეს, რადგან „მეუ“-ს თემი, წყაროს ცნობით, სულ რამდენიმე კაცს ითვლის.

„მეუ“-ს მხარდამჭერების განზრახვის შესახებ, ხელში ჩაეგდოთ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ფერისცვალების ტაძარი სოფელ მოშნიში, ჯერ კიდევ 2024 წელს გავრცელდა ინფორმაცია. მაშინ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოახდინა ფერისცვალების ტაძრის ადგილობრივი თემის „ხელახალი რეგისტრაცია“ ისე, რომ ე.წ. „ტერიტორიული კრებაც“ კი არ ჩატარებულა ტაძრის „მეუ“-ში გადაყვანასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ, როდესაც კანონიკური ეკლესიის თემს ფაქტობრივად გაუუქმდა რეგისტრაცია, მისი მორწმუნეები წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ახერხებდნენ ტაძრის დაცვას დამპყრობლებისგან, სანამ სქიზმატურმა სტრუქტურებმა არ ჩართეს საქმეში შეიარაღებული რეიდერები.

მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის ინფორმაციით, ფერისცვალების ტაძარი 1839 წელს ააშენა არქიტექტორმა ჯორჯო ტორიჩელიმ და აკურთხა კიევის მიტროპოლიტმა ფილარეტმა 1840 წლის 19 აგვისტოს. ის შედიოდა დამსახურებული სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის, გრაფ მიხეილ სემეონის ძე ვორონცოვის სასახლე-პარკის კომპლექსში.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93774/